გაკვეთილის გეგმა N 1

სახელი-გვარი-თამარ თევდორაშვილი

პირადი ნომერი -01001012831

საგანი-მუსიკა

სწავლების საფეხური-დაწყებითი III ა კლასი (სსსმ მოსწავლე არ მყავს)

მოსწავლეთა რაოდენობა-23

გაკვეთილის თემა -სოფლის ეზოში

გაკვეთილის მიზანი -მოსწავლემ შეძლოს სოფლის გარემოში არსებულ ხმებზე დაკვირვება; ასევე ხმა-ბაძვით სოფლის ეზოს აღწერა; მაღალი და დაბალი ბგერების გარჩევა.

გაკვეთილის თემისა და მიზნის შესაბამისობა ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან:
გთხოვთ, მოკლედ დაასაბუთოთ, რამდენად არის გათვალისწინებული წარმოდგენილ გეგმაში კონკრეტული კლასის საგნობრივი პროგრამის მოთხოვნები (მაგ., გაკვეთილის მიზნის შესაბამისობა მისაღწევ შედეგებთან, საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით, სასწავლო მიზნის, თემის/თემების შესაბამისობა სასწავლო წლის მოცემულ პერიოდთან და ა.შ)

ამ თემის განხილვა და საკითხის შესწავლა განაპირობა პროგრამული მასალის კალენდარული გეგმისა და ესგ-ს თანხვედრამ.
მუსიკის სტანდარტით, მესამე კლასის პირველი განსახილველი თავი არის „ გარე სამყარო მუსიკაში, თემა „ ქალაქის/სოფლის ხმები”.
შესაბამისად, ამ თემაში შემავალი საკითხები ისწავლება სასწავლო წლის პირველ სემესტრში, განსხალიველი ცნებებია:მელოდია, რიტმი, ტემპი, რეგისტრი, მუსიკალური ინტონაციის კონტრასტები.

წინარე ცოდნა: მოსწავლეებმა იციან გარე სამყაროს ხმებისა და ამ ხმების ამსახველი მუსიკალური ნაწარმოებების ერთობლიობაში მოაზრებით ცალკეულ მუსიკალურ ელემენტებს, ხმაურსა და ვიზუალურ რიგს შორის ასოციაციური კავშირების გაბმა;

N	აქტივობის მიზანი და აღწერა	გამოყენებული მეთოდი/მეთოდები	კლასის ორგანიზების ფორმა/ფორმები	სასწავლო რესურსები (დაასაბუთეთ შინაარსობრივი	დრო

				რესურსების მიზანშეწონილობა სასწავლო მიზანთან მიმართებით)	**(წ თ)**
1	მასწავლებელი აწესრიგებს საორგანიზაციო საკითხებს, აკეთებს მოსწავლეთა აღრიცხვას, აცნობს მათ გაკვეთილის თემას, მიზანს და შეფასების კრიტერიუმებს.შეახსენებს საკლასო ქცევის წესებს.	ვერბალური	მთელი კლასი	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული იქნება: 1.გაკვეთილის თემა. 2. გაკვეთილის მიზანი, რომელზეც აქცენტირება გაკეთდება გაკვეთილის მსვლელობისას. 3. შეფასების რუბრიკები. მხედველობითი კონტაქტი ხელს უწყობს თვალსაჩინოების აღქმასა და დამახსოვრებას.	2წ თ
2	**„მოთელვა"** **აქტივობის მიზანი: მოსწავლემ შეძლოს რიტმული ნახაზის გამეორება.** **აქტივობის აღწერა:** საგაკვეთილო განწყობის შექმნისთვის, ასევე მოსწავლეებში რიტმის გრძნობის განვითარებისთვის, მთელი კლასი მასწავლებელთან ერთად ასრულებს რიტმულ სავარჯიშოს 4/4 ზომაში. ● აქტივობის დასრულების ბოლოს მასწავლებელი მოსწავლეებს აწვდის უკუკავშირს.	ვერბალური და არა ვერბალური კომუნიკაცია-ფიზიკური აქტივობით.	მთელი კლასი		5 წთ
3	**A-ფაზა** **კითხვა-პასუხი** **აქტივობის მიზანი:** **მოსწავლემ შეძლოს არსებული ცოდნის გააქტიურება.** **აქტივობის აღწერა:** მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს ოთხ სურათს და ეკითხება :	გონებრივი იერიში	მთელი კლასი	დაფაზე გამოკრულია ვიზუალური მასალა: 1-ქალაქის ცენტრალური სატრანსპორტო ქუჩა. 2-დასასვენებელი პარკი. 3- ეკლესიის ეზო.	7 წთ

	1- ქალაქის რომელი კუთხეა აღერილი ფოტოზე? 2- რა ნიშნით ამოიცანით ქალაქის ესა თუ ის კუთხე? 3- რა ხმები იქნება დამახასიათებელი ქალაქის ამა თუ იმ კუთხისთვის? 4-დააკვირდი სურათის დეტალებს და მოიფიქრე, როგორ შეიძლება ამ დეტალების ხმით გადმოცემა; 5-როგორ ტემპს უკავშირდება სურათზე ასახული გარემო? ● თუ მოსაწავლეებს უჭირთ პასუხის გაცემა ,მაშინ მასწავლებელი სვამს დამხმარე კითხვებს. ● აქტივობის დასრულების ბოლოს მასწავლებელი მოსწავლეებს აწვდის უკუკავშირს.			4-სათამაშო მოედანი. ვიზუალური მასალა მოსწავლეებს დაეხმარება ცოდნის გააქტიურებაში.	
4	**B -ფაზა** **„ასოციაციური რუკა“** **აქტივობის მიზანი:** მოსწავლემ შეძლოს სოფლის გარემოში არსებული ხმების ამოცნობა. **აქტივობის აღწერა:** დაფაზე დახატულია „ასოციაციური რუკა“, სადაც წრეში ჩაწერილია წინადადება - ხმები სოფლად, მასწავლებელი მოსწავლეებს ასმენინებს ხმებს, რომელიც ახასითებს ეზოს სოფლად. მოსწავლეები ამოიცნობენ ხმებს და შეავსებენ ასოციაციურ რუკას. ● აქტივობის დასრულების ბოლოს მასწავლებელი მოსწავლეებს აწვდის უკუკავშირს.	ვიზუალური სწავლების მეთოდი.	მთელი კლასი	დაფა, ფერადი ცარცი, კომპიუტერი, მასწავლებლის მიერ შედგენილი აუდიო ფაილი, რომელიც მოსწავლებს დაეხმარება რუკის შევსებაში .	8 წთ
5	**სმენის გააქტიურება**				5

	აქტივობის მიზანი: მოსწავლემ შეძლოს ხმა –ბაძვით სოფლის ეზოს აღწერა. **აქტივობის აღწერა:** მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს გამოიყენონ საკუთარი შესაძლებლობები და აღწერონ სოფლის გარემო – ხმით. 1–შეგიძლია მიბაძო იმ ცხოველის ხმას, რომელიც შენ გყავს სოფელში? 2–შეადარე ძროხის და ქათმის ხმა,რომელს უფრო ბოხი და გაბმული ხმა აქვს? 3–შეადარე ცხენის და კატის ხმა,რომელს უფრო მაღალი და ძლიერი ხმა აქვს? ● აქტივობის დასრულების ბოლოს მასწავლებელი მოსწავლეებს აწვდის უკუკავშირს.	დემონსტრირების მეთოდი	ინდივიდუალური	ფლიპჩარტი ,სადაც მითითებულია დავალება.	წთ
6	**ბგერის სიმაღლის გამოცნობა** **აქტივობის მიზანი:** მოსწავლეებმა შეძლონ მაღალი, და დაბალი რეგისტრის ბგერების მოსმენა და განსხვავება. ასევე ბგერათრიგის თანმიმდევრული გამღერება აღმავალი და დაღმავალი მიმართულებით. **აქტივობის აღწერა:** მასწავლებელი მოსწავლეებს ასმენინებს ბგერების აღმავალ თამიმდევრობას, აქედან გამოყოფს მაღალ და დაბალ ბგერებს, შემდეგ მოსწავლეებს სთხოვს შეადარონ ერთმანეთს მოსმენილი ბგერები და გაარჩიონ სიმაღლის მიხედვით. მოსწავლეები გაიმღერებენ გამას აღმავალი და დაღმავალი მიმართულებით. ● აქტივობის დასრულების ბოლოს მასწავლებელი მოსწავლეებს აწვდის უკუკავშირს.	ვიზუალურ–სმენითი სწავლების მეთოდი	საერთო საკლასო	ერთოქტავიანი ზარები. დაბალი და მაღალი ბგერების დემონსტრირებისათვის ფერადი ზარების გამოყენება მოსწავლეებში ანვითარებს სმენას და ყურადღების კონცენტრაციას.	7 წთ
7	**C–ფაზა** **გაკვეთილის შეჯამება** **აქტივობის მიზანი: მოსწავლემ შეძლოს სიმღერაში ჩართოს ის**	პრაქტიკული	მთელი კლასი	სიმღერა, სადაც მოსწავლეები ჩასვამენ ხმა–ბაძვით სიტყვებს. სიმღერით ხდება	5 წთ

	ხმა-ბაძვითი სიტყვები, რომელიც აღწერს ეზოს სოფლად. **აქტივობის აღწერა:** **მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად მღერის სიმღერას,მოსწავლეები სიმღერაში ჩასვამენ სხვადასხვა ხმა-ბაძვითი სიტყვებს.** ● აქტივობის დასრულების ბოლოს მასწავლებელი მოსწავლეებს აწვდის უკუკავშირს.			მოსწავლეებში სასიმღერო უნარ-ჩვევის განვითარება.	

გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგები:

მიმართულება: მუსიკის აღქმა კონტექსტში და ინტერპრეტაცია

მოსწავლეებმა დაახასიათეს სოფლის გარემოში არსებული ხმები, რომელიც დაუკავშირეს ვიზუალურ მასალს, ასევე განასხვავეს ერთმანეთისგან დაბალი და მაღალი რეგისტრის ბგერები, მელოდიაში გამოიყენეს ხმა-ბაძვითი სიტყვები.

კავშირი ესგ-სთან:

მუს.დაწყ.(I).4. მოსწავლემ უნდა შეძლოს მოსმენის დროს სახე-ხატების შექმნაში მუსიკალური ენის ცალკეული ელემენტების (მაგ.: რიტმის, ტემპის, მელოდიის და ა.შ.) როლის განსაზღვრა;

- მოსწავლეს შეუძლია განასხვავოს ერთმანეთისგან დაბალი და მაღალი რეგისტრის ბგერები.
- მოსწავლეს შეუძლია მელოდიაში გამოიყენოს ხმა-ბაძვითი სიტყვები.
- მოსწავლეს შეუძლია საუბარი ბგერის, ხმის სიძლიერეზე.

მუს.დაწყ.(I).5. მოსწავლემ უნდა შეძლოს ცალკეულ მუსიკალურ ელემენტებს (მაგ.: რიტმს, ტემპს, მელოდიას და ა.შ.), ხმაურსა და ვიზუალურ რიგს შორის ასოციაციური კავშირების გაბმა;

- მოსწავლეს შეუძლია ამოიცნოს გარემოში არსებული ხმები და დაუკავშიროს ვიზუალურ მასალას.
- მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა გარემოში არსებული ხმების დახარისხება.

განმავითარებელი შეფასების რუბრიკა

№	შეფასების კომპონენტები	გასაუმჯობესებელი	საშუალო	კარგი	ძალიან კარგი
1	აქტიური მონაწილეობა	გაკვეთილზე იშვიათად მონაწილეობს მსჯელობაში	ხშირად არის ჩართული გაკვეთილზე აქტივობებში, თუმცა მეტ-ნაკლებად ერთვება მსჯელობაში.	ჩართულია საგაკვეთილო პროცესში და ყოველთვის მონაწილეობს მსჯელობაში	მაქსიმალურად საგაკვეთილო პროცესში და ყოველთვის მონაწილეობს მსჯელობაში
2	საკუთარი აზრის დასაბუთებულად წარმოდგენა	უჭირს გამართულად საუბარი, ხშირად ვერ ასაბუთებს საკუთარ აზრს.	ხშირად გამოთქვამს და ასაბუთებს საკუთარ აზრს.	დამაჯერებლად და არგუმენტირებუ-ლად წარმოადგენს საკუთარ მოსაზრებას.	ყოველთვის დამაჯერებლად და არგუმენტირებულად წარმოადგენს საკუთარ მოსაზრებას.

3	აუდიო ფრაგმენტის მოსმენა და ამოცნობა	უჭირს აუდიო ფრაგმენტის მოსმენა და ცალკეული სახე-ხატების ამოცნობა.	ისმენს აუდიო ფრაგმენტს და ამოიცნობს ფრაგმენტში ასახულ სახე-ხატებას.	მოსმენის შედეგა იძლევა განმარტებას ფრაგმენტში ასახული სახე-ხატების შესახებ და ასახელებს მათ დამახასიათე-ბელ ნიშნებს.	მოსმენის შედეგად სრულყო-ფილად იძლევა განმარტებას ფრაგმენტში ასახული სახე-ხატების შექმნაში და ასახელებს მათ დამახასიათე-ბელ ნიშნებს.

თარიღი:10/12/2019 წ.

ხელმოწერა-